ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2913373

ნომერი: AR1451657

თარიღი : 26.10.2016

გაცემის თარიღი : 01.11.2016

გაცნობის თარიღი : 01.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , (ნაკვეთი 14/541) / ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , (ნაკვეთი 14/517) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი ხეცურიანი პ/ნ 49001002583
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 9 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.10.2016 წ. №2910748 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26/10/2016 წ. N

AR1451657 განაცხადით მომართეს რატი ხეცურიანმა და ვახტანგ მესხმა, რომლებმაც მოითხოვეს ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 25.10.2016 წ. №2910748 გადაწყვეტილების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებელში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 25.10.2016 წ. №2910748 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ, (ნაკვეთი 14/541) / ქალაქი თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი 14/517), არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №01.72.14.014.691), შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლების განმარტებით, 25.10.2016 წ. №2910748 გადაწყვეტილების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებელში შეცდომით დაფიქსირდა განაშენიანების ფართობი, კერძოდ, 125.0 კვ.მ-ის ნაცვლად განაშენიანების ფართობად უნდა ფიქსირდებოდეს 1247.0 კვ.მ.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.10.2016 წ. №2910748 გადაწყვეტილებაში და განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს (კვ.მ).:1247.0

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.10.2016 წ. №2910748 გადაწყვეტილებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.